ოჯახში ძალადობის პოლიტიკის ანალიზი

თამარ ცქიტიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ ურიადმყოფელი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აქვე მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც ნაშრომზე მუშაობისას დიდი დახმარება გამიწიეს;

თამარ ცქიტიშვილი 06.07.2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის გატარების პროცესი საკმაო სირთულეებსა და თავისებურებებს განაპირობებს. აღნიშნული ნაშრომი სწორედ არსებული ნაკლოვანებების გამოაშკარავებასა და გაანალიზებაზე, არსებული მექანიზმების მიმოხილვაზეა ორიენტირებული; ნაშრომის განსჯის საგანია თუ როგორ ახორციელებს სახელმწიფო ოჯახში ძალადობის საპასუხო პოლიტიკას, როგორი ხედვა და ინსტრუმენტები გააჩნია მის აღმოსაფხვრელად და პრევენციული ღონისძიებების დასაგეგმად;

ნაშრომი შედგება ოთხი ძირითადი ნაწილისაგან, პირველ ნაწილში აღნიშნულია ოჯახში ძალადობის როგორც ფსიქო-სოციალური, ასევე სამართლებრივი კონტექსტები, რომელიც პრობლემის შინაარს, სიმწვავეს გადმოგვცემს და საკანონდებლო ბაზას გვაცნობს;

მეორე ნაწილში განხილულია სახელმწიფო სტრუქტურების როლი და მნიშვნელობა, მუშაობის სპეციფიკა და მათ მიერ გატარებული ღონისძიებები; ამავდროულად აღნიშნულ მონაკვეთში გადმოცემულია სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენა და ჩართულობა ოჯახში ძალადობის საკითხში;

მესამე თავი მოიცავს საერთაშორისო დონეზე პრობლემის ფორმულირებას, ევროსასამართლოს ქეისების განხილვას სახელმწიფოს ვალდებულების სათანადოდ გამოსაყოფად და ერთ-ერთი წარმატებული ქვეყნის ესპანეთის პოლიტიკის მაგალითს;

მეოთხე თავში მიმოხილურია რამოდენიმე ყურადსაღები კვლევა და აღწერილია ნაშრომისთვის ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ, წარმოდგენილია და გაანალიზებულია ოჯახში ძალადობის ექსპერტების გამოკითხვები (სულ 5

ექსპერტული გამოკითხვა), სადაც უფრო მეტად ვლინდება ამჟამინდელი პოლიტიკის ნაკლოვანებები და მანკიერი მხარეები;

ბოლოს კი წარმოჩენილია დასკვნა და რეკომენდაციები, სადაც ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის პოლიტიკის არსებული გამოწვევებია წარმოდგენილი და შემოთავაზებულია გარკვეული ასპექტები, რომელიც პოლიტიკის გატარების გაუმჯობესებაზეა ორინეტირებული და უფრო მეტ ეფექტურობას განაპირობებს მომავალში;